ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკავრო პროგრამა: მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფია

გურამ სიხარულიძე

ტაილანდის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

თბილისი

2024

ანოტაცია

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს და გაანალიზოს ტაილანდის ძირითადი მახასიათებლები, რესურსები, გამოწვევები და მისი ის პროგრესი, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საზოგადოების სწრაფ განვითარებას, ასევე ამ პერიოდში ქვეყანაში გაიზარდა ურბანიზააციის მაჩვენებლიც. მოსახლეობის თითქმის სრული ნაწილი უზრუნველყოფილია პირველადი აუცილებელი საშუალებებით.

ქვეყნის ეკონომიკამ ბოლო ათწლეულებში ტრანსფორმაცია განიცადა, რაც გამოისახა ტაილანდის ეკონომიკურ მაჩვნებლებშიც. ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წამყვანი სახელმწიფოა, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი სამაგალითო ჯანდაცვის სისტემა აქვს, ასევე გამოსაყოფია ტურიზმის სექტორიც, რომელსაც ძალიან დიდი სავალუტო რესურსები შეაქვს ქვეყანაში.

ტაილანდის მოსახლეობის თემის შესწავლისას გამოიკვეთა სხვადასხვა საყურადღებო ტენდენცია, ქვეყანაში მოსახლეობის მედიანური ასაკი ყოველწლიურად იზრდება, ასევე მატულობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს პროცესები ქვეყნის მოსახლეობის შემცირებას გამოიწვევს.

ნაშრომი ეყრდნობა მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციების მიერ დამუშავებულ სტატისკურ მასალას, ასევე გამოყენებულია ქართული და უცხოური ლიტერატურა. სრულყოფილი სურათის შესაქმნელად კვლვევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზი და სქემატური მოდელები, რომლებიც ნაშრომს კიდევ უფრო მარტივად გასაგებს გახდის.

სარჩევი

შესავალი 5

I თავი 7

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა 7

1.1. ქვეყნის ფორმირების ისტორია 7

1.2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე 9

II თავი 11

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და სამეურნეო პირობების შეფასება 11

2.1. რელიეფი 11

2.2. ჰიდროგრაფიული ქსელი 12

2.3. კლიმატი 13

2.4. ტყისა და მიწის რესურსი 14

2.5. ბუნებრივი წიაღისეულები 16

III თავი 17

მოსახლეობა 17

3.1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, ბუნებრივი მატება და მიგრაცია 17

3.2. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 20

3.3. მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა 23

3.4. ურბანიზაცია და ქვეყნის დასაქმების სტრუქტურა 26

IV თავი 28

მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა 28

4.1 მეურნეობის განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან 28

4.2. მშპ-ს სტრუქტურა და ფორმირება 30

V თავი 33

მეურნეობის სექტორული ანალიზი 33

5.1. პირველადი და მეორადი სექტორი 33

5.3. მესამეული და მეოთხეული სექტორი 38

VI თავი 44

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში 44

6.1. ტაილანდი საერთაშორისო ორგანიზაციებში 44

6.2. გლობალური ინდექსები 45
დასკვნა 50
დანართი 51
ბიბლიოგრაფია 53

შესავალი

ტაილანდი (დედაქალაქი - ბანგკოკი), მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. მისი კოორდინატებია (ჩრ.გ 13° 02' 19.93" აღ-გ 101° 29' 24.37), ქვეყნის ფართობი კი - 513.120კმ^2 (მსოფლიოში 53-ე, აზიაში მე-14). აღსანიშნავია, რომ ფართობის სრული უმრავლესობა სახმელეთო ტერიტორიას უკავია - 99.5%, რაც 510.892კმ^2 -ია, ხოლო წყლებს 0,5% ანუ 2.230კმ^2 შეადგენს (The World Factbook, 2023).

ტაილანდი გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 1715 კილომეტრით, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 915 კილომეტრით (ESCAP, N/D). მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, შედარებით მცირე ნაწილი ნახევარკუნძულის სამხრეთით, რაც თვალსაჩინოა რუკაზე დაკვირვებისას.

ტაილანდის გერბი და დროშა

წყარო:
https://www.worldatlas.com/flags/thailand

რაც შეეხება პოლიტიკურ გეოგრაფიას, ტაილანდის სამეფოს ესაზღვრებიან შემდეგი სახელმწიფოები: ჩრდილო-დასავლეთით ბირმა, რომელთანაც საზღვარი შეადგენს 2416 კმ-ს, ჩრდილო-აღმოსავლეთით ლაოსი 1845 კმ, აღმოსავლეთით კამბოჯა 817კმ, ხოლო სამხრეთით მდებარეობს მალაიზია 595კმ. ასევე ტაილანდს ესაზღვრება დასავლეთიდან ადამანის ზღვა, ხოლო აღმოსავლეთიდან ტაილანდის ყურე.

ტაილანდის საშუალო სიმაღლე 267 მეტრია, ყველაზე დაბალი 0 მეტრი ტაილანდის ყურესთან, ხოლო ყველაზე მაღალი 2565 მეტრი (The World Factbook, 2023). ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაილანდი არ არის მაღალმთიანი ქვეყანა. ქვეყანა იყოფა ოთხ რეგიონად: ჩრდილოეთი, ჩრდილო აღმოსავლეთი, ცენტრალური და სამხრეთი

(ESCAP, N/A). თითოეული ეს რეგიონი განსხვავებულია კლიმატით, რელიეფით, ეთნიკური შემადგენლობით და ეკონომიკით, რასაც, რა თქმა უნდა, განვიხილავ ნაშრომის ძირითადად ნაწილში.

რუკა N1 ინდოჩინეთის ნ.კ

წყარო: შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

I თავი

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა

1.1. ქვეყნის ფორმირების ისტორია

ისტორიულად ტაილანდი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიგრაციული, კულტურული და რელიგიური გზაჯვარედინი, რომელსაც უდიდესი როლი ჰქონდა ამ რეგიონის განვითარებაში. ტაილანდის წარმოშობის შესახებ არსეობობს რამდენიმე თეორია, რომლებიც ამ ქვეყნის ჩამოყალიბების სხვადასხვა ვერსიებს გვთავაზობს. პირველი ვერსიის მიხედვით პირველი სახელმწიფო ჯერ კიდევ 4500 წლის წინ გაჩნდა ჩინეთის პროვინცია სეჩუანში და შემდგომ მოსახლეობა გადავიდა თანამედროვე ტაილანდის ტერიტორიაზე. ტაილანდის შესახებ პირველი წყარო გვხვდება ჩინეთის პროვინცია ნან ჩაოში, რომელიც ჩვ.წ VI-VII საუკუნეებით თარიღდება.

ტაილანდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბან-ჩიანგში პრეისტორიულმა აღმოჩენებმა თავდაყირა დააყენა ამ ქვეყნის წარმოშობის ისტორია, ქრისტეშობამდე 3000 წლით ადრე ტაილანდში უკვე გავრცელებული იყო ბრინჯაოს მეტალურგია და ბრინჯის მოყვანის კულტურა, სწორედ ამიტომ მეცნიერები ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ტერიტორიიდან მოხდა ადამიანების მასობრივი მიგრაცია აზიის კონტინენტზე.

მესამე ვერსიის თანახმად, ტაილანდელები მალაის არქიპელაგიდან გადმოსახლდნენ ინდოჩინეთის ნახევრკუნძულზე, ამიტომ ითვლება, რომ ამ ხალხს გაცილებით უფრო ახლო კავშირები აქვს ავსტრონეზიელ რასასთან ვიდრე მონღოლოიდებთან (Baker&Phongpaichit, 2014, 2).

ტაილანდის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო ოფიციალურად დაარსდა მე-13 საუკუნეში, კერძოდ 1238 წელს, როდესაც ჩინეთიდან მიგრირებულმა ტაილანდელმა მოსახლეობამ დაიპყრო ადგილობრივი მოსახლეობა და დაარსა ახალი სახელმწიფო სუხოტაი. სახელმწიფოს არსებობის მოკლე პერიოდში მეფე რამ ხამჰაენგმა გაატარა მთელი რიგი რეფორმები: შექმნა ანბანი, ხელი შეუწყო ბუდიზმის გავრცელებას, ასევე მან დიპლომატიური კავშირები დაამყარა ჩინეთთან, რამაც გადამწყვეტი როლი

შეასრულა ამ სახელმწიფოს განვითარებაში. ასევე დიდი ძვრები იყო აქრიტექტურასა და კულტურაში.

რუკა N2 ინდოჩინეთის ნ.კ XVI-საუკუნეში



წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Ayutthaya_Kingdom#/media/File:Southeast_Asian_history_-_Around_1540.png

სუხოტაის გარშემო გაჩნდნენ სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ, რომ სწორედ ისინი იყვნენ ჰეგემონები ამ ტერიტორიაზე, განასაკუთრებით აიუთიას აღმასვლამ გამოიწვია სუხოტაის დასუსტება და შემდგომში განადგურება. 400 წლის განმავლობაში აიუთია იყო მოწინავე ძალა ამ რეგიონში, რა თქმა უნდა, ამ პერიოდში მას კეთილმეზობლური დამოკიდებულება არ ჰქონია სხვა სახელმწიფოებთან, აიუთია მოიცავდა დღევანდელი ბირმას, კამბოჯის, ლაოსის და მალაიზიის ტერიტორიებს. საერთაშორისო ვაჭრობა მე-16 საუკუნეში აყვავდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური და სოციალური განვითარება, აიუთიას იმპერია ანგარიშგასაწევი ძალა გახდა სამხრეთ-აღმოავლეთ აზიაში. საბოლოოდ ეს იმპერია განადგურდა 1767 წელს, როდესაც ბირმელება ქალაქი დაიპყრეს, გაძარცვეს და გადაწვეს. განადგურდა შუა საუკუნეების უნიკალური ინფრასტრუქტურა, კულტურული ძეგლები. (Baker&Phongpaichit, 2014, 21-24).

აიუთიას განადგურების შემდეგ მალევე იწყება ბრძოლა ამ ტერიტორიისა და მმართველობისათვის. წარმოშობით ჩინელმა ფაია ტაქსინმა, რომელსაც ტაილანდელი მეუღლე ჰყავდა მალევე მოიპოვა უპირატესობა ამ დაპირისპირებაში, გარდა ამისა მან განდევნა ბირმელი დამპყრობლები, რომლებმაც გაანადგურეს აიუთიას იმპერია. გენერალმა ტაქსინმა დაარსა ახალი დედაქალაქი თონბურიში, რომელსაც ძალიან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

მოგვიანებით ჩაო ტაქსინს მენტალური პრობლემები შეექმნა, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო გადატრიალებას. ახალი მეფე კი ტაქსინის თანამემაულე ფრაია ჩაკრიმი გახდა. (Baker&Phongpaichit, 2014, 26-30).

ახალმა მეფემ დაარსა ქალაქი ბანგკოკი, რომელიც დღეს ტაილანდის დედაქალაქია. პირველმა სამმა მეფემ ქალაქის მშენებლობას მიუძღვნა საკუთარი საქმიანობა, ხოლო რამა IV-ის დიპლომატიური გამჭრიახობით ტაილანდმა თავი აარიდა კოლონიურ მმართველობას. ასევე აღსანიშნავია რამა V-ის საქმიანობა, რომელმაც გააუქმა მონობა, გაიყვნა რკინიგზა და განახორციელა სხვადასხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები.

1932 წლის 10 დეკემრიდან ქვეყანაში საკონსტიტუციური მონარქიაა. ქვეყანამ სახელი ტაილანდი 1939 წელს მიიღო, ამ სახელწოდებამდე ქვეყანას სიამის სახელით იცნობდნენ.

1.2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

ტაილანდში კონსტიტუციური მონარქიაა, რომლის მეთაურიც ქვეყნის მონარქია. მეფე მაჰა ვაჩირალონგკორნია, რომელსაც გამეფების შემდეგ რამა-X ეწოდა. 1932 წლიდან თითოეულმა მთავრობამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო, სწორედ ამიტომ 80 წლის განმავლობაში ქვეყანაში 17 კონსტიტუცია შეიმუშავეს.

2007 წლის კონსტიტუცია (ძირითადად დაფუძნებულია 1997 წლის კონსტიტუციაზე) ითვალისწინებს ქვედა პალატის, წარმომადგენელთა პალატის წევრების პირდაპირი წესით არჩევას ოთხწლიანი ვადით, ხუთი მეექვსედი ერთმანდატიანი ოლქებიდან, ხოლო დანარჩენი პროპორციული სიების საფუძველზე. ის ასევე მოითხოვს, რომ პრემიერ-მინისტრი იყოს წარმომადგენელთა პალატის წევრი. ზედა პალატის, სენატის წევრები, პირდაპირი წესით აირჩევიან ექვსი წლის ვადით. საპარლამენტო საქმიანობა ძირითადად წარმომადგენლობით პალატაში ხორციელდება, შემუშავებული კანონპროექტი იგზავნება

სენატში განხილვისთვის, სენატს აქვს უფლება შეცვალოს ან უარყოს ეს კანონპროექტი. 2014 წლის მაისში, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, 2007 წლის კონსტიტუცია შეჩერდა (გარდა მონარქიის შესახებ დებულებებისა) და ძალაუფლება აიღო სამხედრო ლიდერთა საბჭომ. აღნიშნულმა საბჭომ ივლისის ბოლოს დანიშნა 200 - კაციანი ერთპალატიანი დროებითი საკანონმდებლო ორგანო (Britannica, 2023).

ტაილანდი შედგება 76 პროვინციისგან და ერთი სპეციალური ტერიტორიისგან (ბანგკოკი), რომლებსაც მართავს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული გუბერნატორი. ამჟამად ტაილანდის პრემიერი სრეტა ტავისინია, რომელიც Pheu Thai Party-ის წარმომადგენელია.

ტაილანდი ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფოა, სადაც დასაქმებულ ადამიანთა 31.8% აგრარულ საქმიანობაშია ჩართული, ინდუსტრიულში კი 16.8%, ხოლო მომსახურების სფეროში 51.5% (The World Factbook, 2023).

ტაილანდის ოფიციალური ვალუტაა ტაილანდური ბატია, რომელიც მიმოქცევაში შევიდა 1928 წელს. 1 ბატი შეიცავს 100 სატანგს. 2023 წლის კურსით 1 აშშ დოლარი = 35 ტაილანდური ბატი (Oanda, 2023).

რუკა N3 ადმინისტრაციული დაყოფა

წყარო: *https://www.istockphoto.com/vector/map-of-administrative-division-of-thailand-gm1269567896-372862664*

II თავი

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და სამეურნეო პირობების შეფასება

2.1. რელიეფი

გეოგრაფები ტაილანდის ტერიტორიას ხუთ გეოგრაფიულ ნაწილად ჰყოფენ: ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარეობს დაკეცილი მთები, ჩრდილო-აღმოსავლეთით ხორატის პლატო, ქვეყნის ცენტრალური ნაწილი - მდინარე ჩაო ფრაიას აუზი, სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვაო კუთხე (ტაილანდის ყურე), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ნახევარკუნძულის წვრილი ნაწილი.

ტაიალანდის პეიზაჟები განსხვავდება დაბალი მთებიდან ნაყოფიერ ალვიურ დაბლობებამდე. ჩრდილოეთის მთები სამხრეთ-აღმოსავლეთით მაღლდება, იგი თან გასდევს ტაილანდისა და ბირმას საზღვარს და გრძელდება ქვეყნის სამხრეთ რეგიონამდე მალაიზიის ჩრდილოეთ ნაწილამდე. მთების მწვერვალების საშუალო სიმაღლე 1600 მეტრი, პიკი კი მთა ინთანონია, რომლის სიმაღლეც 2585 მეტრია (Britannica, 2023)

ხორატის პლატო ესაზღვრება მდინარე მეკონგს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. იგი ჩამოყალიბდა ორი პერპენდიკულარულად განლაგებული ქერქის რღვევის გასწვრივ აწევით - პირველი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, ხოლო მეორე სამხრეთ ნაწილში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ბორცვების შექმნა. ხორატის პლატოს საშუალო სიმაღლე 200 მეტრამდე მერყეობს.

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი მდებარეობს ნახევრაკუნძულზე, რომელზეც მდებარეობს ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები მთათა სისტემა. მისი საშუალო სიმაღლე ნახევარკუნძულზე დაახლოებით 1600 მეტრია. ნახევარკუნძულის სანაპირო ხაზი ქვიშიანია. ასაევე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს რამდენიმე დიდი კუნძული, რომელზეც სხვადასხვა წიაღისეული მოიპოვება (Britannica, 2023)

2.2. ჰიდროგრაფიული ქსელი

ტაილანდში გამოყოფენ ორ მდინარეთა სისტემას, რომლებშიც სხვა მდინარეები, არხები და ნაკადულები ჩაედინებიან. პირველი სისტემის მთავარი მდინარე მეკონგია, რომელიც სათავეს ჩინეთში იღებს და გაედინება ტაილანდის, ლაოსის, კამბოჯის, ვიეტნამისა და ბირმას ტერიტორიებზე. მისი სიგრძე კი 4305კმ-ია (Mekong River Commison). მეკონგს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ტაიალანდისთვის, რადგან ხორატის პლატოზე არსებული მდინარეები საბოლოოდ სწორედ მასში ჩაედინებიან. მეკონგს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს ბრინჯისა და სხვა კულტურის სარწყავად. ასევე მასზე აშენებულია, რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური (International Rivers). მეორე მდინარეთა სისტემის მთავარი მდინარე კი ჩაო ფრაიაა, რომელზეც ქვეყნის დედაქალაქი მდებარეობს. ამ მდინარესაც ასობით მდინარე თუ ნაკადული უერთდება, რომელიც საბოლოოდ ტაილანდის ყურეში ჩაედინება. ასევე აღსანისნავია მდინარე სალვინი, რომელიც ქვეყანაში სიდიდით მეორე მდინარეა. მისი სათავე ტიბეტის მთიანეთში მდებარეობს. მდინარის სიგრძე 3289კმ-ია.

ტაილანდის მდინარეები მდიდარია თევზის სახეობებით (დაახლოებით 500 სახეობა), მხოლოდ მეკონგში მოიპოვება თევზის 140-მდე სახეობა. საუკუნეების მანძილზე ტაიალნდის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა თევზჭერა გახლდადთ. მეოცე საუკუნეში მსოფლიოში პოპულარული ხდება წყლის რესურსების გამოყენების იდეა, სწორედ ამიტომ ტაილანდში დაიწყო ჰიდროელექტრო სადგურების მასიური მშენებლობა, ასევე ამ პერიოდიდან იწყება მოტორიანი ნავების გამოყენება დიდ მდინარეებში, რამაც საგრძნობლად გაამარტივა გადაადგილება, ასევე მდინარეებში სატრანსპორტო საშუალებების მოდერნიზებამ გამოიწვია ტურისტების მასიური დაინტერესებაც (Britannica, 2023).

ტაილანდის უდიდესი მდინარეები

მდინარე	სიგრძე / კმ
მეკონგი	4305
სალვინი	3289
ჩი	765
თა ჩინი	763
მუნ	750

წყარო: (Longest Rivers in Thailand, 2017, World Atlas) https://www.worldatlas.com/articles/longest-rivers-in-thailand.html

2.3. კლიმატი

ტაილანდის საშუალო ტემპერატურა 1950 წლის შემდეგ 0.8°C.გრადუსით გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, საერთო გლობალური კლიმატური პრობლემების გამოძახილია. ქვეყანაში ტროპიკული კლიმატია, მაისიდან ოქტომბრამდე სამხრეთ-დასავლეთის მუსონს ინდოეთის ოკეანიდან ტაილანდისაკენ მოაქვს თბილი, ტენიანი ჰაერი, რაც ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში ძლიერ წვიმებს იწვევს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მუსონს ოქტომბრის თვიდან შემოაქვს ცივი და მშრალი ჰაერი, რომელიც ტაილანდის ძირითად ტერიტორიას მოიცავს. ძირითადად ამ დროს ქვეყანაში ზომიერი ამინდია. საშუალო წლიური ნალექები მერყეობს 1200-4500მმ, ტემპერატურა კი ჩრდილოეთით 26.3°C., ხოლო სამხრეთ ნაწილში კი 27.5°C. გრადუსია (The World Bank, 2020).

დიაგრამა N1

ჰაერის მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური ტემპერატურა ტაილანდში 1991დან-2020 წლამდე



წყარო: (Climatology 2020, Climate Change Knowledge Portal)

https://climateknowledgeportal.worldbank.org/country/thailand/climate-data-historical

2.4. ტყისა და მიწის რესურსი

ტაილანდისთვის მიწისა და ტყის რესურსებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩართული, ასევე ტაილანდი გამოირჩევა ხე-ტყის მასალის ექსპორტით. ტყეები არის უდიდესი ეკოსისტემა, გარდა ამისა, ,,ტყის რეზერვები", რომელიც ასევე მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს მასში დაახლოებით 10 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

1960-1980 წლებში მასიურად შემცირდა ტყის მასივები, რამაც გამოიწვია კატასტროფული მეწყერები, წყალმოვარდნები და სხვა კატაკლიზმები, სწორედ ამიტომ ტაილანდის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო ხე-ტყის უნებართვო ჭრის აკრძალვა. ამ კანონპროექტმა პოზიტიური გავლენა იქონია ტაილანდის ეკოსისტემაზე, 2000 წლიდან საგრძნობლად შემცირდა უნებართვო ჭრის პროცესი.

ტაილანდის მთავრობა გეგმავს, რომ დაიწოს ტყის მასობრივი გაშენება და 2030 წლისთვის ტყის მასივების რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 23% პროცენტით გაზრდას (OpenDevelopment, 2019).

დიაგრამა N2



წყარო: (Land Use in Thailand, 2018, The World Factbook) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/

2.5. ბუნებრივი წიაღისეულები

ტაილანდის ძირითადი წიაღისეულებია: თაბაშირი, ტყვია, ვოლფრამი, ლინგიტი, კალა, ტანტალი, რკინის მადანი, კაუჩუკი და ბუნებრივი აირი. მოპოვებით მრეწველობას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილი არ უკავია. აქ მთავარი წიაღისეული თაბაშირია, რომელიც კოლოსალური რაოდენობით მოიპოვება. კანადის შემდეგ იგი ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორია მსოფლიო ბაზარზე. ტაილანდის მთავრობა ხელოვნურად ცდილობს, ფასის შენარჩუნებას და ექსპორტზე მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით გზავნის.

გარდა თაბაშირისა ასევე დიდი რაოდენობით მოიპოვება კალა, თუთია, რკინის მადანი. 2003 წელს ტაილანდში 40-მდე მინერალის მოპოვება და გადამუშავება მოხდა. ამ პროდუქტების საერთო ფასი კი დაახლოებით 740 მილიონი ამერიკული დოლარი იყო, ძირითადად ეს პროდუქცია შიდა ბაზრისთვის იყო წარმოებული. მეოცე საუკუნის 80-იან 90-იან წლებში დიდი ფინანსური სარგებელი ჰქონდა ვოლფრამისა და ანტიმონის მოპოვებას, რომელსაც ქვეყანისთვის ძალიან დიდი სავალუტო შემოსავალი მოჰქონდა (Factsanddetails, 2014).

ბუნებრივ აირს რაც შეეხება, ამ რესურსის მოპოვებით ტაილანდი 44-ე სახელმწიფოა მსოფლიოში, მისი მარაგები კი რამდენიმე წელში მთლიანად ამოიწურება. სწორედ ამიტომ იგი ეტაპობრივად ყატარულ ბუნებრივ აირზე გადადის, გაზის მოხმარებით კი ტაილანდი მე-13 სახელმწიფოა მსოფლიოში (Worldometers, 2023).

III თავი

მოსახლეობა

3.1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, ბუნებრივი მატება და მიგრაცია

ტაილანდი მოსახლეობის რაოდენობით ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა მსოფლიოში. მისი მოსახლეობა 2023 წლის მონაცემებით შეადგენს 71,9 მილიონ ადამიანს, რაც დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 0.89%, მსოფლიოში კი მოსახლეობის რაოდენობით მე-20 სახელმწიფოა (Worldometers, 2023).

ქვეყნის მოსახლეობა 1960 წლიდან სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც კარგად ჩანს ჩემს მიერ მომზადებულ გრაფიკზე. (იხილეთ მე-19 გვერდზე) ამ გრაფიკზე დაკვირვებისას დავინახვთ, რომ ტაილანდის მოსახლეობა 1960-წლიდან 1990-წლამდე 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მოსახლეობის მატების ტემპი საგრძნობლად შენელდა, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი 10.04‰, გარდაცვალება კი 7.86‰ (The World Factbook, 2023), დემოგრაფიული ექპერტების პროგნოზით ტაილანდი 2035 წლისთვის მოხვდება გაეროს ,,სუპერ ხანდაზმულ სახელმწიფოთა“ კლასიფიკაციაში, სწორედ ამ დროიდან ქვეყანაში შესაძლოა დაიწყოს დეპოპულაციის პროცესი. ტაილანდის დემოგრაფიულ მონაცემებს თუ შევადარებთ მისი მეზობელი სახელმწიფოების ბირმისა და მალაიზიის შედეგებს, დავინახავთ, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპით ტაილანდს ყველაზე უარესი შედეგი აქვს რეგიონში. ბირმის **(მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბუდიზმის აღმსარებელი)** შობადობის მაჩვენებელი 16.1‰, ხოლო სიკვდილიანობა 7.4‰, რაც შეეხება მალაიზიას **(მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ისლამის აღმსარებელია)** შობადობის მაჩვენებელი 14.4‰ , სიკვდილიანობა 5.4‰ (The World Factbook, 2023).

ქვეყანაში გატარებულმა წარმატებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ დაასტაბილურა შობადობის მაჩვენებლები, ასევე ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ გააუმჯობესა ქვეყანაში ცხოვრების დონე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა - **77.91 წელი** (The World Factbook, 2023).

ტაილანდში ქალებს სხვა განვითარებადი სახელმწიფოებისგან განსხვავებით გაცილებით დიდი უფლებები აქვთ, ტაილანდური თანასწორუფლებიანი საზოგადოებისთვის შვილის სქესს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ გენდერული კუთხით აბორტების რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ტაილანდელი ქალების უმრავლესობას სიცოცხლეში ერთხელ მაინც აქვს გამოყენებული კონტრაცეფციული საშუალებები. ბუდისტური რელიგია არ კრძალავს მსგავსი საშუალებების გამოყენებას, განსხვავებით ისლამისგან და ქრისტიანობისგან. სწორედ ამიტომ, გაცილებით სწრაფად იზრდება მალაიზიის მოსახლეობა ვიდრე ტაილანდის. რაც შეეხება ბირმას, იგი ეკონომიკურად და სოციალურად ერთ-ერთი ჩამორჩენილი საზოგადოებაა, მსგავსი საზოგადოებისთვის კი მაღალი ბუნებრივი მატება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

რაც შეეხება ფერტიულურობის კოეფიციენტს, თუ 1960 წელს 6.25 იყო, 2023 წლის მონაცემებით 1.54-ია, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებასთან. ახალშობილთა გარდაცვალება კი 6.36‰, ამ მაჩვენებლით ტაილანდი მსოფლიოში 167-ე სახელმწიფოა (The World Factbook, 2023).

მიგრანტთათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტაილანდი ერთ-ერთი მიმზიდველი სახელმწიფოა, 2017 წლის მონაცემებით ქვეყანაში დაახლოებით 3-4 მილიონი მიგრანტი ცხოვრობდა (IOM, 2017). მათი ძირითადი ნაწილი ბირმიდან, ვიეტნამიდან და კამბოჯიდან არის მიგრირებული. მიგრანტთა დიდი ნაწილი არალეგალურად არის დასაქმებული, სწორედ ამიტომ ტაილანდის ხელისუფლებამ მიიღო ძალიან მკაცრი კანონი არალეგალი ადამიანებისა და მათი დამსაქმებლების წინააღმდეგ, რამაც ამ ადამიანების დიდ უმრავლებას ქვეყნის დატოვება აიძულა, მაგრამ ქვეყანაში ამ კანონის მიღებამ გამოიწვია იაფი მუშახელის დეფიციტი, სწორედ ამიტომ ქვეყანამ დაჩქარებული წესით დაიწყო არალეგალების რეგისტრაცია. ასევე დიდია ქვეყანაში ლტოლვილთა რიცხვი, რომლებმაც თავიანთი ქვეყანა არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მეოცე საუკუნის 70-იან წლებში დატოვეს. (ვიეტნამი და კამბოჯა - სამოქალოქო ომი, კომუნისტური რეჟიმის დამყარება).

დიაგრამა N3



წყარო: (Population ,total-Thailand, 2020, The World Bank)

https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?locations=TH

დიაგრამა N4



წყარო: (Population growth (annual%)-Thailand, 2020, The World Bank)

https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.GROW?locations=TH

მოსახლეობის დაბერების გამომწვევი მიზეზები ტაილანდში



3.2. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

მედიანური ასაკი ქვეყანაში 41 წელია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (The World Factbook, 2023). ამის მიზეზი კი ქვეყანაში არსებული დაბალი შობადობა და გაზრდილი

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა, სწორედ ამ ტენდენციის გამო ტაიალანდში ყოველწლიურად იზრდება მედიანური ასაკი.

ცხრილი N1

ტაიალანდის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

ასაკი	0-14	15-64	65+
კაცი	5,720,842	23,797,302	4,500,808
ქალი	5,443,981	24,734,505	5,597,559
%	16	69.53	14.47

წყარო: (Age structure in Thailand, 2023, The World Factbook) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/

ამ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვვნათ, რომ ტაილანდში საპენსიო ასაკის მქონე ადამიანთა რიცხვი ძალიან მაღალია, განსხვავებით მისი მეზობელი ქვეყნებისგან. მაგალითად ბირმაში მხოლოდ მოსახლეობის 6% 65+ ასაკს გადაცილებული, ხოლო მალაიზიაში 8%.

ტაიალნდში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77.91 წელია. ქვეყანაში ქალები საშუალოდ 81.05, ხოლო მამაკაცები 74.92 წელს ცხოვრობენ (The World Factbook, 2023).

მოცემული სფეროს ანალიზისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ტაილანდის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა:

ტაილანდის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 2023



წყარო: (Age-sex pyramid in Thailand, 2023, The World Factbook) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/

მოცემული პირამიდის ანალიზისას შეგვიძლია დავინახოთ ტაილანდის სხვადასხვა დემოგრაფიული ტენდეციები. თუ შევადარებთ 0-4 წლამდე ასაკის ადამიანების რაოდენობას 5-9 ან 10-14 ასაკობრივი კატეგორიის რაოდენობას, დავინახავთ, რომ მეტ-ნაკლებად ეს კატეგორიები თანაბრად არიან წარმოდგენილი ტაილანდის მოსახლეობაში, რაც იმით აიხსნება, რომ ქვეყანაში დაბალია ახალშობილთა გარდაცვალების მაჩვენებელი.

რაც შეეხება პირამიდის შუა ნაწილს აქ კარგად ჩანს ტაილანდში მიგრანტთა შემოდინების ტენდეცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტაილანდი ერთ-ერთი მიმზიდველი სახელმწიფოა. განსაკუთრებით აქტუალურია მიგრაცია ბირმიდან ტაილანდში (გოგსაძე, 2019, 166) (დანართი N1).

ტაილანდში ასევე მაღალია 65+ ადამიანთა რაოდენობაც. ქვეყანაში გაუმჯობესდა ცხოვრების დონე, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება, რაც, რა თქმა უნდა, ხანდაზმული ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

3.3. მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა

როგორც უკვე აღვნიშნე, ტაილანდი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, მის მოსახლეობაში გვხვდება ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ისტორიულად მცხოვრები ხალხები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ დღესდღეისობით მათ შორის კონფლიქტი არ არსებობს და ეს ხალხები თავს ტაილანდელებლად თვლიან.

ტაილანდში 30-მდე ეთნიკურ ჯგუფს გამოყოფენ, მათი უმრავლესობა დაახლოებით 97% ტაილანდური წარმომავლობის ჯგუფებია. ტერმინი ,,ტაილანდური" არის როგორც ეროვნული, ასევე ეთნიკური სახელწოდება ტაილანდის დომინანტური მოსახლეობისთვის.

ქვეყნის ცენტრში მცხოვრები მოსახლეობა: ეს ჯგუფი უდიდესია ტაილანდის მოსახლეობაში, ისინი ძირითადად ცხოვრობენ დედაქალაქ ბანგოკგსა და მის შემოგარენში, სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ხალხი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ საქმიანობაში მთავარ როლს ასრულებს. რეგიონის მოსახლეობა საუბრობს დიალექტზე, რომელიც ძალიან ჰგავს ძველ ტრადიციულ ტაილანდურ ენას.

ჩრდილოეთ ტაილანდური მოსახლეობა: ამ მოსახლეობის დაფუძნება ტაილანდის ტერიტორიაზე დაკავშირებულია ლანას სამეფოსთან, რომელიც ტაილანდური სამეფო იყო XV საუკუნეში. ტაილანდის ჩრდილოეთ ნაწილი ძირითადად დასახლებულია იუანის ხალხით, ეს ხალხი განსაკუთრებულია საკუთარი ტრადიციებით, მათი სასაუბრო დიალექტი კი კამუანგია.

სამხრეთ ტაილანდური მოსახლეობა: ქვეყნის სამხრეთელ მოსახლეობაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს მალაიაზიელ მუსლიმ მოსახლეობას, ასევე დიდია ჩინელების რაოდენობაც. რეგიონში ხშირია ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე არსებული კონფლიქტები.

აღმოსავლეთ ტაილანდური მოსახლეობა: ძირითადად მიგრირებული მოსახლეობა, რომლებიც საკუთარ ქვეყანას ტოვებენ და მოდიან უკეთესი პირობებისთვის ტაილანდში, სამწუხაროდ ამ რეგიონის მოსახლეობა ქვეყანაში ყველაზე ღარიბ საზოგადოებად მიიჩნევა.

ეს ხალხი ძირითადად ხმერული წარმოშობისაა, რომლებიც კამბოჯიდან გადმოსახლდნენ ტაილანდში XIII-საუკუნეში (Study, 2023)

დიაგრამა N5



წყარო: (Ethnic groups in Thailand, 2015, The World Factbook) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/#people-and-society

ტაილანდის მოსახლეობის 92.5% ბუდიზმის მიმდევარია (The World Factbook, 2021). თერავადას ბუდისტური ტრადიცია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე შრი-ლანკიდან შემოვიდა. თერავადა ბუდიზმში ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული მიმდევრობაა, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული რიტუალები აქვს. ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში მდებარეობს ბუდისტური ტაძრები, სადაც ბერები გამორჩეული ყვითელი სამოსით ცხოვრობენ და ატარებენ სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებს. საუკუნეების განმავლობაში ბერები ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ხალხს სხვადასხვა პირველადი საშუალებებით, ასევე მათთან ერთად ატარებდნენ საერთო ლოცვებს. დღესდღეისობით განსაკუთრებით მორწმუნე ხალხი სოფლად ცხოვრობს, რომლებიც მკაცრად იცავენ ბუდისტური მრწამსის

თითოეულ ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოველდღიურად მცირდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებსაც ბერად აღკვეცა სურთ (Britannica, 2023).

ქვეყანაში სიდიდით მეორე რელიგია ისლამია 5.4% (The World Factbook, 2021). ძირითადად მუსულმანები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ, მოგეხსებათ, რომ მალაიზია ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმური სახელმწიფოა რეგიონში, სწორედ მისი გავლენის გამო გხვდება ტაილანდში მუსლიმი მოსახლეობა.

ქრისტიანი მოსახლეობის რიცხვი შედარებით მოკრძალებულია საერთო მოსახლეობაში 1.2% (The World Factbook, 2021). ქრისტიანი მისიონერები ქვეყანში მე-16 საუკუნეში გამოჩდნენ, მაგრამ მათ დიდი დაინტერესება ვერ გამოიწვიეს მოსახლეობაში ამ რელიგიით, რადგან ბუდისტურ რელიგიას ფესვები ძალიან მყარად ჰქონდა გადგმული საზოგადოებაში, მაგრამ მათ შეძლეს შეექმნათ სხვადასხვა სასწავლებლები, სადაც ნებისმიერ მრწამსის ადამიანს შეეძლო განათლების მიღება, საერთო ჯამში მათ საქმიანობას პოზიტიური გავლენა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისთვის (Britannica, 2023).

დიაგრამა N6



წყარო: (Religon in Thauland, 2021, The World Factbook). https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/

ტაილანდში ოფიციალური ენა ტაილანდურია, რომელსაც მოსახლეობის 90,7% ფლობს, გარდა ამ ენისა, გვხვდება სხვა ენებიც, რომელზეც ძირითადად მიგრანტები საუბრობენ. ძირითადად ავსტრონეზიულ ენებზე, ასევე დიდია ბირმულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა რიცხვიც (The World Factbook, 2010). სამწუხაროდ, ტაილანდში არც თუ ისე დიდია ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი, ჯერ კიდევ დაბალია ქვეყანაში განათლების დონე, ინგლისურს ძირითადად მაღალი წრის წარმომადგენელი, ადამიანები ფლობენ, რომლებმაც განათლება უცხოეთში მიიღეს. ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს სკოლაში დანერგოს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება, მაგრამ სამწუხაროდ კვალიფიციური მასწავლებლების არ ყოლის გამო ეს პროცესი ძალიან დაბალი ტემპით ვითარდება (Thaialnd Travel Guide, 2023).

3.4. ურბანიზაცია და ქვეყნის დასაქმების სტრუქტურა

ტაილანდი ნაკლებად ურბანიზებული სახელმწიფოა, რადგან მოსახლეობის მხოლოდ 53,6% ცხოვრობს ქალაქად (The World Factbook). მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი სოფლად ცხოვრობს, რომლებიც ძირითადად ეკონომიკის პირველად სექტორში არიან ჩართული. ტაილანდში სიმჭიდროვე 1კმ^{2}-ზე 141 ადამიანია (დანართი 2) (Worldometers, 2023). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყნის თითქმის 100% უზრუნველყოფილია როგორც სასმელი წყლით, ასევე ელექტროენერგიით (The World Factbook, 2023). ურბანიზაციის პროცესს მზარდი ტენდეცია აქვს, რადგან ქალაქად გაცილებით კარგი ცხოვრების პირობებია, ვიდრე სოფლად. ურბანიზაციის პროცესის გაგრძელება, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ცვლილებებს ეკონომიკაშიც, რადგან მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობაშია ჩართული მათი რიცხვი ამ შემთხვევაში საგრძნობლად შემცირდება.

ტაილანდის ურბანიზაციულ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ მალაიზიის მაჩვენებლებს დავინახავთ, რომ მალაიზია გაცილებით ურბანიზებული სახელმწიფოა 78,7%, რაც შეეხება ბირმას აქ მხოლოდ მოსახლეობის 32.8% ცხოვრობს ქალაქად. (The World Factbook, 2023).

დიაგრამა N7



წყარო: (Aaron O'neill, 2023, Thailand, Largest cities in Thailand 2019, Statista) https://www.statista.com/statistics/331887/largest-cities-in-thailand/

დიაგრამა N8

რაც შეეხება დასაქმების სტრუქტურას, ტაილანდი მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა სამუშაო ძალის რაოდენობით 40.2 მილიონი ადამიანი, ამ მონაცემებით იგი მე-16 სახელმწიფოა მსოფლიოში (The World Factbook, 2023). ასევე ქვეყანაში ძალიან დაბალია უმუშევრობა 1.2%, რაც საოცრად კარგი შედეგია განვითარებადი სახელმწიფოსთვის.



წყარო: (Labour Force – by Occupation, 2015, The World Factbook).https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/

IV თავი

მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

4.1 მეურნეობის განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან

ტაილანდმა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქვეყანაში ცხოვრების დონე. ეკონომიკის განვითარება უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებას, ტაილანდი ეტაპობრივად ცდილობდა, რომ აგრარულიდან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო, სწორედ ამ პროცესმა ხელი შეუწყო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სწრაფ ზრდას. მოცემულ პერიოდში ინდუსტრიალიზმის წამყვანი დარგი ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება იყო, სხვა დარგების განვითარება კი პრობლემური იყო, რადგან კვალიფიციური კადრები ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა. ტაილანდის ეკონომიკა 1960-დან 1996-წლამდე 8% იზრდებოდა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელი იყო. მოცემულმა ეკონომიკურმა ზრდამ შექმნა მილიონობით სამუშაო ადგილი, რამაც ქვეყანაში სოციალური ფონი საგრძნობლად გააუმჯობესა (The World Bank, 2023).

ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, ამიტომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით 60-იანი წლებიდან დაიწყო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე ტაილანდს ამ პერიოდში აშშ-სთან ჰქონდა სამეკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ტაილანდის დახმარებას სამხედრო, სოციალურსა და ეკონომიკურ სფეროში.

1970 წლებიდან ქვეყანა იწყებს ადგილობრივი წარმოების წახალისებას, რაც გამოიხატა იმპორტის შეზღუდვით, რადგან დაბალი დონის ადგილობრივი ნაწარმი კონკურენციაში ვერ შედიოდა იმპორტირებულ საქონელთან, ასევე იმპორტირებული საქონელი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ადგილობრივი პროდუქცია. ქვეყნის ამგვარმა პოლიტიკამ ძალიან დაასუსტა სოფლის მეურნეობა, სწორედ ამიტომ ხელისუფლებას მოუწია ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის შემცირებამ, კიდევ უფრო გააღატაკა სოფლად მცხოვრები მოსახლეობა. 1979-80

წლის ნავთობის კრიზისმა ამერიკა აიძულა, რომ ტაილანდისთვის შეეწყვიტა დახმარების პაკეტი, რომელიც ჯერ კიდევ 1966 წლიდან მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტორმა ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა ტაილანდის ეკონომიკას, რამაც შემდგომში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვია.

ბატი-ს რეკორდულად გაუფასურების თავიდან ასაცილებლად ქვეყანას სჭირდებოდა უცხოური ვალუტა, რომლითაც იგი ურზუნველყოფდა საკუთარი ვალუტის სტაბილურობას, ამიტომ ამ პერიოდიდან ქვეყანაში დაიწყო ექსპორტის ხელშეწყობა, რაც ცალსახად პოზიტიური ნაბიჯი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ამ გადაწყვეტილებით ტაილანდი კიდევ უფრო მიმზიდველი სახელმწიფო გახდა დიდი ეკონომიკებისათვის, რადგან ტაილანდში არსებული ბიზნეს გარემო მათი ბიზნესისთვის ძალიან სასარგებლო გახდა (OECD, 2021).

დაუბალანსებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საბოლოოდ ტაილანდსა და სხვა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კრახი განიცადა, არასწორმა გათვლებმა, ფაქტობრივად გაანადგურა ადგილობრივი ვალუტები, ამ კრიზისის მიზეზად ბევრი ეკონომისტი ასახელებს დოლარის სწრაფ გამყარებას, ასევე ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ადგილობრივ ეკონომიკებში უცხოური კაპიტალის წილის რეკორდული ზრდა, ამ კრიზისით ნათლად გამოჩნდა, რომ ტაილანდის ეკონომიკის საფუძველი არცთუ ისე მყარი იყო, რადგან ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკის სტაბილურობისათვის აუცილებელი რეზერვები (Geoeconomics, 2007).

ეკონომიკური კრიზისიდან ტაილანდი და სხვა რეგიონის ქვეყნები მალევე გამოვიდნენ და კვლავ დაუბრუნდნენ ეკომიკური აღმავლობის გზას. 2000 წლიდან 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე, ეს ეკონომიკები საშუალოდ 5% იზრდებოდნენ. ტაილანდის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის პიკი 2019 წელს იყო, ამის შემდეგ კი მსოფლიოში არსებულმა კორონავირუსის პანდემიამ და ლოქდაუნმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის ტენდეციის შეჩერება (The World Bank, 2023).

დიაგრამა N9



წყარო: (Official exchange rate (LCU per US$, Period average) – Thailand, 2022, The World Bank)

https://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF?locations=TH&most_recent_value_desc=true

4.2. მშპ-ს სტრუქტურა და ფორმირება

ტაილანდი ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკაა აზიაში, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 2022 წლის მონაცემებით 495 მილიარდი, ხოლო პარიტეტული მშპ 1.48 ტრილიონი ამერიკული დოლარია (The World Bank, 2023). ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყანამ და ზოგადად რეგიონმა ძალიან დიდი ეკონომიკური პროგრესი განიცადა, მაგრამ იყო მთელი რიგი გამოწვევები, მაგალითად აზიის ფინანსური კრიზისი მეოცე საუკუნის მიწურულს, 2008-2009 წლის ეკონომიკური და კორონავირუსის პანდემისგან გამოწვეული კრიზისები, რომელბმაც შეაჩერეს ამ ეკონომიკების სწრაფი ტემპით განვითარება. მსოფლიოში ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია ეკონომიკური ბუმი მთელ მსოფლიოში, თუ 1990 წელს მსოფლიოს მშპ 22 ტრილიონი იყო, 2022 წელს მსოფლიო მშპ 100 ტრილიონს შეადგენს, რა თქმა უნდა, მსგავსი

ტემპებით ზრდა წარმოუდგენელია მთელი რიგი ფაქტორების გამო, ამიტომ სავარაუდოა, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებში დაიწყოს ეკონომიკური რეცესია.

დიაგრამა N10



წყარო: (GDP growth (annual %), - Thailand, Malaysia, 2023, The World bank)
https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=TH-MY

მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს ზემოთ აღნიშნული კრიზისის პერიოდები, განსაკუთრებით თვალშისაცემია 1998 და 2020 წლის მონაცემები, ასევე აღსანიშნავია ტაილანდისთვის 2014 წელი, როდესაც მშპ-ს ზრდა მხოლოდ 1% იყო, ამის მიზეზი კი ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია იყო.

მალაიზიის მთლიანი შიდა პროდუქტი 405 მილიარდი აშშ დოლარია, მაგრამ ტაილანდთან შედარებით დაახლოებით 25 მილიონით ნაკლები მოსახლე ჰყავს, ამიტომ მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი აქვს. 2022 წლის მონაცემებით მშპ ერთ სულ

მოსახლეზე ტაილანდში 6908, ხოლო მალაიზიაში 11979 აშშ დოლარია (The World Bank, 2023).

პირდაპირი ინვესტიციები ტაილანდში დაახლოებით მშპ-ს 2% გახლდათ, დაახლოებით 10 მილიარდი აშშ დოლარი (The World Bank, 2023), რაც შეეხება ოქროს რეზერვებს ტაილანდი 244, ხოლო მალაიზია დაახლოები 39 ტონა ოქროს ფლობს (Trading Economics, 2023).

დიაგრამა N11



წყარო: (Aaron O'neil, 2023, Thailand: share of economic sectors in the gross domestic product (GDP) from 2012 to 2022, Statista) https://www.statista.com/statistics/331893/share-of-economic-sectors-in-the-gdp-in-thailand/

მოცემულ გრაფიკზეც კარგად ჩანს, რომ ტაილანდის ეკონომიკაში დიდი როლი აქვს სოფლის მეურნეობას, მაგრამ ამ დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 10 წლიან ტენდეციაში დაახლოებით 3% შემცირდა, ეკონომიკაში ყველაზე დიდი წილი მომსახურების სფეროს აქვს, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარს შეადგენს. რაც შეეხება მალაიზიას, მასაც თითქმის ანალოგიური მშპ-ს სექტორული განაწილება აქვს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნები ერთმანეთის

მსგავს ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ. შემდეგი თავი კი შეეხება ტაილანდის მეურნეობის სექტორულ ანალიზს, სადაც დეტალურად განვიხილავ ზემოთ ხსენებულ სექტორებს.

V თავი

მეურნეობის სექტორული ანალიზი

5.1. პირველადი და მეორადი სექტორი

ეკონომიკის სტაბილური განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყნის მეურნეობის თითოეული სექტორი მაქსიმალური პროდუქტიულობით გამოირჩეოდეს და, შესაბამისად, ქვეყანას ჰქონდეს თვითკმარი ეკონომიკა, რადგან იგი არ იყოს დიდი დოზით დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებზე. გლობალური ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია, რომ რომელიმე სახელმწიფომ იზოლირებულად შეძლოს რაიმე სახის პროგრესი, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ვაჭრობას.

ეკონომიკის პირველადი სექტორის მოწინავე დარგებია: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა. ტაილანდის მშპ 2022 წლის მონაცემებით 495 აშშ დოლარია, ხოლო კონკრეტულად ამ დარგების წილი მშპ-ში 8.82% - რაც 44 მილიარდი აშშ დოლარია (The World Bank, 2023). მიუხედავად ამ მასშტაბური ციფრისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ტაიალანდს სოფლის მეურნეობა ნაკლები პროდუქტიულობით გამოირჩევა, რადგან სოფლის მეურნეობაში არ ხდება თანამედროვე საშუალებების გამოყენება, ასევე ქვეყანაში დაბალია კვალიფიციურ აგრონომთა რიცხვიც. ტაილანდის სამუშაო ძალა 2015 წლის მონაცემებით დაახლოებით 40 მილიონ ადამიანს შეადგენს, ხოლო უშუალოდ სოფლის მეურნეობაში ჩართულია დაახლოებით 13 მილიონი ადამიანი (The World Factbook, 2023). სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების საშუალო წლიური ხელფასი კი 2015 წლის მონაცემბით 3216 აშშ დოლარია (The World Bank, 2019). ამ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაილანდის სოფლისმეურნეობაში გაცილებით მეტი ადამიანია ჩართული ვიდრე ამის საჭიროება არსებობს, სწორედ ამ ფაქტორის გამო დაბალია

ამ სფეროს პროდუქტიულობა. აუცილებელია, რომ მოხდეს სოფლის მეურნეობაში თანამედროვე საშუალებების გამოყენება, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებს ამ დარგის განვითარებაზე.

ტაილანდის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ბრინჯის კულტურას, რომელიც ასევე ქვეყნის მთავარი საექსპორტო სასოფლო პროდუქტია, გარდა ამისა, ტაილანდში მოჰყავთ ანანასი, მანგო, შაქრის ლერწამი, სიმინდი, კეშიუ, მრავალი სახის ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, რაც შეეხება მეცხოველეობასა და მეფრინეველეობას, ტაილანდში ეს დარგებიც საკმაოდაა განვითარებული, 21-ე საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში გავრცელდა ფრინველის გრიპი, სწორედ ამ მიზეზით ტაილანდის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაეხურა ფრინველთა ინკუბატორები და ფერმები, ამას მოჰყვა ქვეყანაში ამ დარგის ფაქტობრივად განადგურება, მაგრამ ხელისუფლების დახმარებით კვლავ მოხდა ამ სფეროს აღორძინება (Britannica, 2023).

ტაილანდი მდიდარია ტყეებით, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 37% უჭირავს, მაგრამ ამ რესურსის უკონტროლო გამოყენებამ ძალიან შეამცირა ქვეყანაში ტყის რესურსები, სწორედ ამიტომ ტაილანდმა მიიღო გადაწყვეტილება და ქვეყანაში გაამკაცრა გარემოს დაცვითი მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა, ხოლო ქვეყანამ ეტაპობრივად დაიწყო გაჩეხილი ტყეების აღდგენა. ტაილანდი ერთ-ერთი უდიდესი ხის მასალის ექსპორტიორია მსოფლიოში, 2018 წლის მონაცემებით ტაილანდის მშპ-ს 0.34% შეადგენს ხე-ტყის რესურსებიდან მიღებული შემოსავალი (The World Factbook, 2019).

ტაილანდი მსოფლიოში ზღვის პროდუქტების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია, განსაკუთრებით კრევეტების. ტყეების მასიურმა გაჩეხვამ გამოიწვია წყლის რესურსების დაბინძურება, ასევე ხელოვნურად შექმნილი კრევეტების ფერმებმა სერიოზულად დააზიანა ტაილანდის სანაპირო ხაზი, რამაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენა სანაპირო ხაზზე გაშენებულ მანგოს ნარგავებს. 1970 წლიდან ტაილანდი ზღვის პროდუქტების ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი სახელმწიფოა მსოფლიოში (Britannica,2023).

რაც შეეხება წიაღისეულების მოპოვებას, ტაილანდი არცთუ ისე მდიდარი სახელმწიფოა ფასეული რესურსებით, ძირითადად ტაილანდში მოიპოვებენ თაბაშირს, კალას და რკინის მადანს, რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მხოლოდ რამდენიმე წლის სამყოფი მარაგი დარჩა ქვეყანას, ამიტომ ტაილანდი ცდილობს, რომ გადაეწყოს ახალ მოცემულობაზე. ქვეყნის გამორჩეული წიაღისეულია ვოლფრამი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ელექტრონიკაში, კერძოდ კი ნათურების წარმოებაში.

მრეწველობა

მეორადი სექტორის ფუნქციაა პირველადი სექტორისგან მიღებული ნედლეული აქციოს მზად პროდუქტად. 2022 წლის მონაცემებით ტაილანდის მრეწველობამ 133.85 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მრეწველობასაც თუ ჩავშლით დავინახავთ, რომ წარმოების 20 % მოდის საკვებისა და თამბაქოს, 8 % ქიმიურზე, 6% ტექსტილისა და ტანსაცმლის, ხოლო 30 % მოდის ტრანსპორტისა და სხვა მანქანა დანადგარების წარმოებაზე. მრეწველობის გამოსარჩევი მაგალითია მანქანათმშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი დარგია, ტაილანდი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საავტომობილო ჰაბია, რადგან აქ ხდება როგორც მანქანების სათადარიგო ნაწილების, ასევე თვითონ მანქანების წარმოებაც. ტაილანდის ხელისუფლებამ 2020 წლისთვის მიზნად დაისახა, რომ ქვეყანას გამოეშვა 3.5 მილიონი ავტომობილი, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო მათ ამ გეგმის კორექტირება მოუხდათ. თანამედროვე მსოფლიო ცდილობს ეკომეგობრული ავტომობილების შექმნას, რომლის შექმნაც შიგაწვის ძრავიანი ავტომობილებისგან განსხვავებით გაცილებით რთული პროცესია, სწორედ ამიტომ განვითარებული ავტო ბრენდები ცდილობენ, რომ ეს ავტომობილები შედარებით განვითარებულ სახელმწიფოებში ააწყონ (ჩინეთი, სამხრეთ კორეა), სწორედ ამიტომ ტაილანდმა ამ დარგში ბოლო პერიოდში საკუთარი მიმზიდველობა დაკარგა. ტაილანდში ქარხნები აქვს შემდეგ მწარმოებლებს: BMW, HONDA, ISUZU, NISSAN, ასევე მრავლად არის ადგილობრივი

ბრენდები, რომელებიც მსოფლიოში ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ, ძირითადად ეს ავტომობილები ადგილობრივი ბაზრისთვის იქმნება (ASEANBRIEFING, 2018).

ინფრასტრუქტურა და მშენებლობა

მშენებლობას ძალიან დიდი როლი აქვს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში, რადაგან დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები განვითარების იმპულსს აძლევს ეკონომიკის სხვა დარგებსაც. ქვეყანაში არსებული მშენებლობის 80% საჯარო, ხოლო 20% კერძო საკუთრება იყო (Statista, 2023). ტაილანდის ხელისუფლება ცდილობს, რომ საკუთარი ქვეყნის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდოს რეგიონისთვისა და მსოფლიოსთვის, სწორედ ამიტომ იგი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარება, რაც გამოიხატება იმით, რომ ქვეყანას სურს გახდეს მსოფლიო სატრანსპორტო ჰაბი, ტაილანდში არსებობს იდეა, რომ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გაიჭრას ახალი საზღვაო არხი, რომელიც საგრძნობლად განტვირთავს მალაკის სრუტეს, გარდა საზღვაო არხის იდეისა არსეობს ასევე სახმელეთო ხიდის მოწყობის იდეაც. ტაილანდის პრემიერ-მინისტრი სრეტა ტავისინი ცდილობს მსოფლიოში მოიძიოს ინვესტორები, რომლებიც დაახლოებით 30 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ მოცემულ პროექტში. ამ არხის გაჭრის იდეა საგრძნობლად დააზარალებს სინგაპურს, რადგან ტვირთების დიდი ნაწილი მას გვერდს აუვლის, რაც ქვეყანას ეკონომიკურად დიდ ზიანს მიაყენებს. ჩინეთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ახალი სატრანსპორტო გზების მოძიება, რადგან მისი ეკონომიკა იყოს დაცული სხვადახვა სახის ბლოკადებისგან. ჩინეთში მუდმივად არსებობდა მალაკის სრუტის ბლოკირების შიში აშშ-ს სამხედრო ძალების მიერ (Theinterpreter, 2021).

რუკა N4 ტაილანდის არხი



წყარო: **https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/land-or-sea-thailand-perseveres-kra-canal**

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ტრანსპორტზე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. ტაილანდში დაახლოებით 30 საერთაშორისო აეროპორტი მდებარეობს, რომლებმაც 2021 წლის მონაცემებით დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი მიიღეს, რა თქმა უნდა, ამ მონაცემებზე დიდი გავლენა იქონია კორონავირუსის პანდემიამ, უკეთესი წარმოდგენა, რომ შეგვექმნას აუცილებელია მოვიხმოთ 2019 წლის მონაცემები, რომლის თანახმადაც ტაილანდის აეროპორტებით დაახლოებით 79 მილიონმა ადამიანმა ისარგებლა, ასევე ქვეყანაში საკმაოდ განივთარებულია სარკინიგზო ტრანსპორტიც, ქვეყანში სულ 5 მთავარი სარკინიგზო ხაზია, რომელთა საერთო მანძილი 4092 კილომეტრია, სარკინიგზო ტრანსპორტით 2021 წელს დაახლოებით 7 მილიონმა ადამიანმა ისარგებლა. (The Wolrd Bank, 2021). ქვეყანაში გზების საერთო სიგრძე 180 056 კილომეტრია, ამ მონაცემებით ტაილანდი მსოფლიოში 30-ე სახელმწიფოა (The World Factbook, 2016). ქვეყანაში 2023 წლის მონაცემებით დაახლოებით 21 მილიონი ავტომობილია

რეგისტრირებული (CEIC, 2023). ტაილანდის სატრანსპორტო ზოლი 3219 კილომეტრს შეადგენს, ტაილანდის, როგორც საზღვაოსნო ქვეყნის მნიშვნელობა გაიზრდება ჩემ მიერ ზემოთხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დღესდღეისობით ქვეყანაში 10-მდე დიდი პორტია, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ 100 000+ ტონიანი გემები. მთავარი პორტი კი დედაქალაქ ბანგკოკში მდებარეობს, რომლიდანაც ტაილანდის ექსპორტ-იმპორტის თითქმის 60% ხორციელდება (Siamshipping, 2019).

5.3. მესამეული და მეოთხეული სექტორი

როგორც უკვე აღვნიშნე ტაილანდი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად, ტექნოლოგიების განვითარებამ ამ სახელმწიფოს მისცა პროგრესის შესაძლებლობა, რამაც ქვეყანაში ცხოვრების დონე საგრძნობლად გააუმჯობესა. ტაილანდის მთლიანი შიდა პროდუქტის 56% მომსახურების სფეროზე მოდის (Statista,2023).

ვაჭრობა

ქვეყნის განვითარებაში უდიდესი როლი ეკისრება საერთაშორისო ვაჭრობას, რადგან წარმოუდგნელია არსებობდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე არის დამოკიდებული, მთავარია ქვეყანას ჰქონდეს დადებითი სავაჭრო ბალანსი მის პარტნიორებთან. ტაილანდმა 2022 წლის მონაცემებით ექსპოტზე გაიტანა 325.86 მილიარდი აშშ დოლარის პროდუქცია, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 65.8%, ხოლო იმპორტის საშუალებით ქვეყანაში შემოიტანა 337.47 მილიარდის პროდუქცია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 68.1% (The World Bank, 2022). მონაცემებზე დაკვირკვების შედეგად დავინახავთ, რომ ტაილანდს საერთაშორისო ვაჭრობაში უარყოფითი შედეგი აქვს, რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა იყო 2019 წელს ანუ პანდემიამდე, როდესაც ქვეყნის ექსპორტი 323 მილიარდი, ხოლო იმპორტი 272 მილიარდი იყო. 2019 წელს ქვეყანამ 51 მილიარდიანი მოგება ნახა საერთაშორისო ვაჭრობიდან, რაც ფანტასტიური მაჩვენებელია.

დიაგრამა N12



წყარო: (Thailand Exports By Country, 2023, Trading Econmoincs) https://tradingeconomics.com/thailand/exports-by-category

დიაგრამა N13



წყარო: (Thailand Imports By Country, 2023, Trading Economics) https://tradingeconomics.com/thailand/imports-by-country

ცხრილი N2

ტაილანდის ექსპრტისა და იმპორტის ზოგადი სტრუქტურა

ექსპორტირებული საქონელი	იმპორტირებული საქონელი
ელექტრო მოწყობილობა	საწვავი
საწარმოო მანქანა-დანადგარები	ტექნიკა, ელექტრო მოწყობილობები
ავტომობილები	ძვირფასი ქვები, ლითონი
რეზინი	რკინა და ფოლადი
პლასტმასი	გადაადგილების საშუალებები

წყარო: (Thailand Export, import By Category, 2023, Trading Econimics)

https://tradingeconomics.com/thailand/exports-by-category https://tradingeconomics.com/thailand/imports-by-category

ტაილანდის მთავარი საექსპორტო პარტნიორი ქვეყანა აშშ, ხოლო საიმპორტო კი ჩინეთია. ძირითადად აშშ დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ასევე რეზინით და პლასტმასით, ხოლო ჩინეთიდან ტაილანდს შემოაქვს ის ტექნიკა, რომელსაც იგი არ აწარმოებს. მომავალში იმპორტის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ქვეყანას მოუწევს საწვავისა და ბუნებრივი აირის დიდი რაოდენობით შეძენა, რადგან ტაილანდის მარაგები ფაქტობრივად ამოწურულია.

საფინანსო სისტემა

ქვეყანაში საბანკო სექტორი განვითარების ეტაპზეა, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა პანდემიის პერიოდში, როდესაც რამდენიმე მსხვილი მოთამაშე გაკოტრდა, ხოლო მათი პორტფოლიოები ბაზარზე არსებულმა სხვა ბანკებმა გადაიბარეს. ტაილანდის ეროვნული ბანკი დაარსდა 1942 წელს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე, ძირითადად მას აკისრია მარეგულირებლის ფუნქცია. ტაილანდის საბანკო სისტემის 82% ექვს ბანკზეა გადანაწილებული, რომლებიც ერთმანეთთან მძაფრ

კონკურენციაში არიან, მათი მთავარი ამოცანაა, მოიზიდონ იმ რაოდენობის კლიენტები, რომელსაც პანდემიამდე ემსახურებოდნენ, ამიტომ ისინი მოსახლეობას სასურველ და ხელსაყრელ საპროცენტო განაკვეთებს სთავაზობენ (Britannica, 2023).

ჯანდაცვა

ტაილანდს ერთ-ერთი სანიმუშო ჯანდაცვის სისტემა აქვს მსოფლიოში, 2002 წლიდან ქვეყანამ დაიწყო ჯანდაცვის სისტემის ძირეული რეფორმა, ასევე მოსახლეობის სრული უმრავლესობა ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. 2020 წლის მონაცემებით ქვეყანა მთლიანი შიდა პროდუქტის 4.4% ხარჯავს ჯანდაცვის სისტემაზე (The World Factbook, 2023). ჯანდაცვის სისტემის განვითარებამ ქვეყანაში გამოიწვია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა, რაც ქვეყანას შემდგომ პერიოდში ჯანდაცვის ხარჯების კიდევ უფრო გაზრდისკენ უბიძგებს. სამედიცინო პუნქტების დიდი ნაწილი საჯაროა, მაგრამ ქვეყანაში კერძო საავადმყოფოებიც გვხვდება, ყველაზე დიდი რაოდენობით კი დედაქალაქ ბანგკოკში 70% საჯარო, 30 %კერძო. ქვეყანაში ევროპასთან და ამერიკასთან შედარებით ძალიან იაფია მკურნალობა, სწორედ ამიტომ ტაილანდის ტურიზმის ერთ-ერთი მოწინავე მიმართულება გამაჯანსაღებელი ტურიზმია, რაც შეეხება ფარმაცევტულ ბაზარს სხვა ქვეყნებთან შედარებით ტაილანდში მედიკამენტების ღირებულება ძალიან დაბალია (International Citizens Insurance, N/D).

ცხრილი N3 კორონავირუსის სტატისტიკა ტაიალნდსა და მალაიზიაში

ქვეყანა	ინფიცირებულთა რაოდენობა	გარდაცვალებულთა რაოდენობა	გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა
ტაილანდი	4,760,712	34,501	4,692,636
მალაიზია	5,147,359	37,202	5,094,830

წყარო: (Reoported Cases and Deaths By Countrey and Territory, 12.18.2023, Worldometers) https://www.worldometers.info/coronavirus/

ქვეყანამ კორონოვისრუსთან ბრძოლას მეტ-ნაკლებად კარგად გაართვა თავი 70 მილიონიან ტაილანდს 35 მილიონიან მალაიზიაზე გაცილებით კარგი მაჩვენებელი აქვს, რაც ქვეყნის გამართული ჯანდაცვის სისტემის დამსახურებაა.

განათლება

ქვეყნის განათლების სისტემა ძირითადად დაფუძნებულია ადგილობრივ კულტურაზე და ტრადიციაზე, მხოლოდ მცირე დოზითაა გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილება, რაც ძალიან აბრკოლებს ამ სფეროს განვითარებას. ტაილანდი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 3.2% ხარჯავს განათლების სისტემაზე, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ინდოჩინეთის რეგიონის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს ამ კომპონენტშიც მოწინავეა ეს სახელმწიფო (The World Factbook, 2020).

ტაილანდის მოსახლეობის 94.1%-მა იცის წერა-კითხვა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობის სრული უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომია ზოგადი განათლება. 3-დან - 5 წლამდე ბავშვების 74% გადის სკოლამდელ განათლებას, ბაღების მხრივ რთული ვითარებაა ქვეყნის პერიფერიულ ნაწილში, ხოლო რაც შეეხება სკოლებს, ამ კუთხით ქვეყანაში პრობლემა თითქმის არ არსებობს. ქვეყანაში დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი იღებს ზოგად და უმაღლეს განათლებას, ტაილანდელი სტუდენტები ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან ევროპის და აზიის წამყვანი სახელმწიფოების სტუდენტებთან შედარებით, რადგან ამ ქვეყნებში მიღებული განათლება გაცილებით ხარისხიანია (Education Destination, 2023).

მასმედია

ქვეყანაში მედიაგარემო ნაწილობრივ თავისუფალია, მედია საშუალებები აქტიურად აშუქებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ჟურნალისტები ერიდებიან კონკრეტული

მაღალჩინოსნების დასახელებას, ანუ ეს ადამიანები თვითცენზურას მიმართავენ, ასევე ბეჭდურ და სხვა მედიასაშუალებებში ფაქტობრივად არ გვხვდება ტაილანდის სამეფო ოჯახის კრიტიკა.

ტაილანდში ძალიან ბევრი ტელევიზია მაუწყებლობს, რომელსაც ძირითადად კერძო პირები ფლობენ, გამონაკლისია ნაციონალური ტელევიზია და რადიო, რომელსაც ქვეყნის ხელისფულება მართავს, ასევე ქვეყანაში გვხვდება სხვადასხვა ინგლისურენოვანი ბეჭდური გამოცემა: Bangkok Post, The Nation. ტაილანდის მოსახლეობის 88%-ისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ხოლო ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი კი Faceebok-ია, რომლითაც 62 მილიონი ადამიანი სარგებლობს. (BBC, 2023).

ტურიზმი

ტაილანდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანაა ტურიზმის მხრივ მსოფლიოში, რომელსაც წლის განმავლობაში მილიონობით ადამიანი სტუმრობს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ტაილანდს 2019 წელს 39,9 მილიონი ადამიანი ესტუმრა, რომლებმაც ქვეყანაში დაახლოებით 65 მილიარდ აშშ დოლარამდე დახარჯეს (The World Bank, 2020). პანდემიამ ყველაზე მეტად ტურიზმის სექტორი დააზარალა, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბება გამოიწვია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია ტურისტულ ბიზნესში. ეტაპობრივად ქვეყანა უბრუნდება 2019 წლის მაჩვენებლებს ტურისტული კუთხით, რასაც

რუკა N5

ტაილანდის ტურისტული რუკა

წყარო: http://www.vidiani.com/detailed-tourist-map-of-thailand/

პოზიტიური გავლენა ექნება ეკონომიკურ განვითარებაზე.

ქართული ტუროპერატორები საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტურისტულ პაკეტებს ტაილანდის მიმართულებით, რომელიც დაახლოებით 3000 ლარამდე ღირს, სამწუხაროდ თბილისიდან ბანგკოკის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისები არ ხორციელდება, რაც მგზავრობის დროს ძალიან ახანგრძლივებს (OkTravel, 2023).

VI თავი

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

6.1. ტაილანდი საერთაშორისო ორგანიზაციებში

საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩართულობა თითოეული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ ქვეყნებს შორის კოორდინირებული მუშაობითაა შეესაძლებელი საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გამოწვევების დაძლევა. გლობალიზაციამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ტაილანდი საერთაშორისო ორგანიზაციებში: (Factsanddetails, 2014).

- ასეანი - სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია
- კოლომბოს გეგმა
- საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ატომური ენერგიის სააგენტო
- საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი
- ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ორგანიზაცია
- წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაცია
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
- მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია
- სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

- განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- საერთაშორისო სავალუტო ფოდი
- ბავშვთა დაცვის ფონდი
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია

გარდა ამ ორგანიზაციებისა, ტაილანდი კიდევ მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ჩამოთვლილთაგან კი ყველაზე მნიშვნელოვანია ასეანი, გაერო და გაეროს დამხმარე ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ტაილანდის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას. ასეანი-ს ჩამოყალიებების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა ტაილანდისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდებარე ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ამ ქვეყნებს შორის გამარტივებულმა საბაჟო რეგულაციებმა გზა გაუხსნა თავისუფალ ვაჭრობას წევრ სახელმწიფოებს შორის. სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების კავშირი დაარსდა 1967 წლის 8 აგვისტოს ბანგკოკში, ტაილანდი კი ერთ-ერთი დამფუძნებული სახელმწიფოა (Association of Southeast Asian Nations, 2020). რაც შეეხება გაეროს ქვეყანა ამ ორგანიზაციის წევრი 1946 წლიდანაა.

6.2. გლობალური ინდექსები

როგორც უკვე აღვნიშნე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტაილანდში იწყება ეკონომიკური და სოციაური განვითარება, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ცხოვრების დონე ქევყანაში. ჰუმანური განვითარების ინდექსის შედგენისას ყურადღება ექცევა სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს, შეფასების სისტემა კი მინიმალური - 0, ხოლო მაქსიმალური 1 ქულაა. ინდექსის შედგენისას მთავარი კრიტერიუმებია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. ტაილანდი ჰუმანური განვითარების ინდექსის თანახმად ძალიან მაღალ

განვითარებულ სახელმწიფოთა კატეგორიაშია, რომლის შეფასებაც 0.800 ქულაა (Human Development Reports, 2021).

დიაგრამა N14



წყარო: (Trends in Thailand's HDI 1990-2021, 2022, Human Development Index) https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/THA

დიაგრამაზე დაკვრვებისას კარგად ჩანს თუ როგორ ვითარდებოდა ტაილანდი ბოლო 30 წლის განმავლობაში, ქვეყანა ამ პერიოდში საშუალოდ განვითარებულიდან ძალიან მაღალ განვითარებულ სახელმწიფოდ იქცა, ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა, რამაც შემდგომში სხვა დარგების პროგრესირება გამოიწვია. ტაიალანდის მოცემულ ასპექტში შედარება აზრს მოკლებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, ამიტომ ამ ქვეყანას შევადარებ ასეანი-ს წევრ სახელმწიფოებს.

ცხრილი N4

ჰუმანური განვითარების ინდექსი ასეანი-ს ქვეყნებში 2021

N	ქვეყანა	ჰუმანური განვითარების ინდექსი	მსოფლიო რეიტინგში	განვითარების დონე
1	სინგაპური	0.939	12	ძალიან მაღალი
2	ბრუნეი	0.829	51	ძალიან მაღალი
3	მალაიზია	0.803	62	ძალიან მაღალი
4	ტაილანდი	0.800	66	ძალიან მაღალი
5	ინდონეზია	0.705	114	მაღალი
6	ვიეტნამი	0.703	115	მაღალი
7	ფილიპინები	0.699	116	საშულო
8	ლაოსი	0.607	140	საშულო
9	კამბოჯა	0.593	146	საშულო
10	ბირმა	0.585	149	საშულო

წყარო: (Country Insights, 2022, Human Development Index) https://hdr.undp.org/data-center/country-insights#/ranks

ბედნიერების ინდექსი ერთ-ერთი მთავარი საზომია ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის კმაყოფილების, ინტერვიუერები რესპოდენტებს სთხოვენ შეაფასონ საკუთარი ბედნიერების ხარისხი 0-დან 10 ქულამდე. ბედნიერების ინდექსი 2023 წელს 146 სახელმწიფოს მონაცემისგან შედგება. მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა ფინეთია 7.8 ქულით, რაც შეეხება ტაილანდს ის ამ რეიტინგში მე-60 ადგილს იკავებს 5.84 ქულით (World Population Review, 2023).

ცხრილი N5

ბედნიერების ინდექსი ასეანი-ს ქვეყნებში 2023 წელს

N	ქვეყანა	ქულა	მსოფლიო რეიტინგში
1	სინგაპური	6.59	25
2	მალაიზია	6.01	55
3	ტაილანდი	5.84	60
4	ვიეტნამი	5.76	65
5	ფილიპინები	5.52	76
6	ინდონეზია	5.28	84
7	ლაოსი	5.11	89
8	კამბოჯა	4.39	115
9	ბირმა	4.37	117
10	ბრუნეი	-	-

წყარო: (Happiest Countries in The World 2023, 2023, World Population Reviw)

https://worldpopulationreview.com/country-rankings/happiest-countries-in-the-world

N4 და N5 ცხრილებში ქვეყნები ფაქტობრივად იდენტური თანმიმდევრობით არიან დალაგებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჰუმანური განვითარებისა და ბედნიერების ინდექსების შედგენის მეთოდოლოგია ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

ევროპასთან შედარებით, აზიაში დემოკრატიის ხარისხი საგრძნობლად დაბალია, რადგან აზიური სახელმწიფოებისთვის უცხოა მთელირიგი დემოკრატიული პროცესები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონტინენტზე ჯერ კიდევ გვხვდება

ავტოკრატიული სახელმწიფოები, ასევე აბსოლუტური მონარქიაც, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან დემოკრატიულ ღირებულებებთან.

ტაილანდი კონსტიტუციური მონარქია, ქვეყნის პოლიტიკური მმართველი კი პრემიერ-მინისტრია, ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური მდგომაროებაა, ხელისუფლება დევნის პოლიტიკურ ოპონენტებს, ასევე მედიაც გარკვეულწილად პოლიტიკური გავლენის ქვეშაა. თავისუფლების ინდექსი ჯამში 100 ქულით ფასდება, 40 ქულა პოლიტიური უფლებები, ხოლო 60 - სამოქალაქო უფლებები. ამ ინდექსში ტაილანდმა 2023 წლის მონაცემებით 100-დან 30 ქულა დააგროვა, რაც ძალიან ცუდი შედეგია, პოლიტიკური უფლებები 40/6, ხოლო სამოქალაქო უფლებები 60-დან 24 (Freedom House, 2023).

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები გამოირჩევიან ბიზნესის კეთების სიმარტივით, მათი სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ესაა, ეს ქვეყნები უცხოელ ინვესტორებს სთავაზობენ თავიანთი ბიზნესისათვის ხელსაყრელ პირობებს. ბიზნესის კეთების სიმარტივით ტაილანდი მსოფლიოში 21-ე სახელმწიფოა, რაც შეეხება მის მეზობელ მალაიზიას, ის ამ რეიტინგში მეთორმეტე ადგილს იკავებს, ასევე აღსანიშნავია ასეანი-ს წევრი სახელმწიფოს სინგაპურის მაჩვენებელიც, რომელიც ამ რეიტინგში მე-2 ადგილს იკავებს (The World Bank, 2023).

კორუფცია მართლაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ქვეყნისთვის, რაც საგრძნობლად ანელებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპს, ტაილანდი კორუფციის მაჩვნებლით მსოფლიოში 101-ე ადგილს იკავებს (Transparency International, 2023).

დასკვნა

ტაილანდის სამეფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, რომელმაც ბოლო 50 წლის განმავლობაში სერიოზულ წარმატებას მიაღწია ეკონომიკური და სოციალური კუთხით. 1932 წლიდან ქვეყანა კონსტიტუციური მონარქიაა, მიუხედავად ამისა, ქვეყანამ ვერ მიაღწია დემოკრატიის მაღალ ხარისხს, დღესდღეისობითაც აქტუალურია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრობლემა.

ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საზოგადოების სწრაფ განვითარებას, ასევე ამ პერიოდში ქვეყანაში გაიზარდა ურბანიზაციის მაჩვენებლიც. მოსახლეობის თითქმის სრული ნაწილი უზრუნველყოფილია პირველადი აუცილებელი საშუალებებით, როგორც უკვე ავღნიშნე ტაიალნდს ერთ-ერთი საუკეთესო ჯანდაცვის სისტემა აქვს მსოფლიოში. ტაილანდში ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური საქმიანობა ტურიზმია, რომელსაც კოლოსალური სავალუტო რესურსი შეაქვს ქვეყანაში, სწორედ ამიტომ კორონავირუსის პანდემიისას ქვეყნის ეკონომიკა ფაქტობრივად გაჩერდა, აღსანიშნავია აზიის 1997 და 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისები, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკას ძალიან მძიმე დარტყმა მოაყენა.

აღსანიშავნია ასევე ქვეყნის გავლენის ზრდა რეგიონალურ პოლიტიკაში, ტაიალნდის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანას ჰყავდეს სანდო სტრატეგიული პარტნიორი, როგორიც მას მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ს სახით ჰყავდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში აშშ-სა და ჩინეთს საკუთარი ინტერესები აქვთ, ამიტომ ეს სახელმწფიოფები ცდილობენ, რომ ტაილანდთან და რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან ჰქონდეთ პოზიტიური სახის ურთიერთობა.

მიუხედავად ბევრი სირთულისა ქვეყანა აგრძელებს განვითარების პროცესს, რაც ძალიან სასიხარულოა, მაგრამ როდია მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური განვითარება. აუცილებელია ქვეყანაში დაიწყოს დემოკრატიული პროცესები და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირება, რაც ამ სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დანართი

რუკა N1



წყარო: შესრულებულია ნაშრომის ავტორის მიერ

რუკა N2 **ტაილანდის მოსახლეობის სიმჭიდროვე**



წყარო:
https://popdensitymap.ucoz.ru/news/145_population_density_administrative_boundaries_map_of_thailand_amphoe_level_podrobnaja_karta_plotnosti_naselenija_tailand/2016-12-26-165\

ბიბლიოგრაფია

1. გოგსაძე გ., მოსახლეობის გეოგრაფია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018.

https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/gogsadze.pdf [12.29.2023]

2. Baker Ch. & Phongpaichit P., A HISTORY OF THAILAND, Cambridge University Press, Melbourne, 2014 [12.29.2023]
3. ASEANBRIEFING. (2018). Thailand's Automotive Industry: Opportunites and Incentives.

https://www.aseanbriefing.com/news/thailands-automotive-industry-opportunities-incentives/ [12.26.2023]

4. Association of Sotheast Asian nations. (2020). The ASEAN Journey.

https://asean.org/about-asean [12.29.2023]

5. BBC. (2023). Thailand media guide.

https://www.bbc.com/news/world-asia-15639421 [12.28.2023]

6. Britannica. (2023). Economy Thailand.

https://www.britannica.com/place/Thailand/Rural-settlement#ref52656 [12.28.2023]

7. Britannica. (2023). Government and Society.

https://www.britannica.com/place/Thailand/Government-and-society [12.12.2023]

8. Britannica. (2023). Land of Thailand.

https://www.britannica.com/place/Thailand/Land [12.13.2023]

9. Britannica. (2023). Plant and Animal life.

https://www.britannica.com/place/Thailand/Plant-and-animal-life [12.26.2023]

10. CEIC. (2023). Thailand Number of Registred Vehicles.

https://www.ceicdata.com/en/indicator/thailand/number-of-registered-vehicles [12.26.2023]

11. CIA. (2023). CIA Countries Burma. The World Factbook.

https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/burma/ [12.21.2023]

12. CIA. (2023). CIA Countries Malaysia. The World Factbook.

https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/malaysia/ [12.21.2023]

13. CIA. (2023). CIA: Countries Thailand. The World Factbook.

https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/thailand/ [12.25.2023]

14. Climate Change Knowledge Portal. (2020). Current Climate Thailand.

https://climateknowledgeportal.worldbank.org/country/thailand/climate-data-historical [12.16.2023]

15. Education Destination Asia. (2023). School Education System in Thailand.

https://educationdestinationasia.com/essential-guide/thailand/thailand-education-system [12.28.2023]

16. Factsanddetails. (2014). Thailand's International and foreign Relations: History, Issues and foreign aid.

https://factsanddetails.com/southeast-asia/Thailand/sub5_8f/entry-3294.html [12.28.2023]

17. Factsandetails. (2014). Natural Resources in Thailand

https://factsanddetails.com/southeast-asia/Thailand/sub5_8h/entry-3317.html [12.18.2023]

18. Freedom House. (2023). Global Freedom Scores.

https://freedomhouse.org/countries/nations-transit/scores [12.29.2023]

19. Human Development Reports. (2021). Human Development Insights.

https://hdr.undp.org/data-center/country-insights#/ranks [12.29.2023]

20. IOM. (2017). Op-ed: The state of migration in Thailand.

https://thailand.iom.int/news/op-ed-state-migration-thailand [12.21.2023]

21. Mekong River Commision. (N/D). Mekong Basin.

https://www.mrcmekong.org/about/mekong-basin/ [12.15.2023]

22. Oanda. (2023). Thai Bath Currency.

https://www.oanda.com/currency-converter/en/currencies/majors/thb/ [12.9.2023]

23. OECDiLibrary. (2021). OECD investment policy Reviews: Thailand.

https://www.oecd-ilibrary.org/sites/a21090a7-en/index.html?itemId=/content/component/a21090a7-en#section-d1e2646 [12.23.2023]

24. OpenDevelopment. (2019). Forest and Forestry.

https://thailand.opendevelopmentmekong.net/topics/forests-and-forestry [12.16.2023]

25. Siam Shipping. (2019). Ports in Thailand.

https://siam-shipping.com/thailand-asia/ports-thailand/#Major_ports_in_Thailand [12.27.2023]

26. Statista. (2023). Thailand – Statistics & Facts.

https://www.statista.com/topics/4194/thailand/#editorsPicks [12.22.2023]

27. The Wolrd Bank. (2020). Population growth (annual %) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.GROW?locations=TH [12.21.2023]

28. The World Bank. (2015). Agriculture, foresty, and fishing, value added per worker – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.EMPL.KD?locations=TH [12.25.2023]

29. The World Bank. (2020). Population, total – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?locations=TH [12.21.2023]

30. The World Bank. (2021). Air Transport, passengers carried – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/IS.AIR.PSGR?locations=TH [12.26.2023]

31. The World Bank. (2021). Rail lines (total route-km) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/IS.RRS.TOTL.KM?locations=TH [12.26.2023]

32. The World Bank. (2022). Exports of goods and services (current US$) -Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD?locations=TH [12.27.2023]

33. The World Bank. (2022). Imports of goods and services (current US$) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD?locations=TH [12.27.2023]

34. The World Bank. (2022). Official exchange rate (LCU per US$, period average) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF?locations=TH [12.23.2023]

35. The World Bank. (2023). Agriculture, foresty, and fishing, value added (% of GDP) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS?locations=TH [12.25.2023]

36. The World Bank. (2023). GDP (current US$) – Thailand.

https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=TH [12.22.2023]

37. The World Bank. (2023). GDP growth (annual %) – Thailand, Malaysia.

https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=TH-MY [12.23.2023]

38. The World Bank. (2023). GDP growth (annual %) – Thailand.

https://www.statista.com/topics/4194/thailand/#editorsPicks [12.22.2023]

39. Trading Economics. (2023). Gold Reserves.

https://tradingeconomics.com/country-list/gold-reserves [12.24.2023]

40. Trading Economics. (2023). Thailand Exports by Country.

https://tradingeconomics.com/thailand/exports-by-country [12.27.2023]

41. Trading Economics. (2023). Thailand Imports by Category.

https://tradingeconomics.com/thailand/imports-by-category [12.27.2023]

42. Trading Economics. (2023). Thailand Imports by Country.

https://tradingeconomics.com/thailand/imports-by-country [12.27.2023]

43. Transparency International. (2022). Corruption Perceptions Index.

https://www.transparency.org/en/cpi/2022?gclid=CjwKCAiAyp-sBhBSEiwAWWzTnn9BJ3YJV781ivoSgH7tjelRUb173WR1l2rqEKtGVt6W_RAa4-iiqxoCcyQQAvD_BwE&gad_source=1 [12.30.2023]

44. World Population Review. (2023). Happiest Countries in the World.

https://worldpopulationreview.com/country-rankings/happiest-countries-in-the-world [12.29.2023]

45. WorldAtlas. (N/D). Longest Rivers In Thailand.

https://www.worldatlas.com/articles/longest-rivers-in-thailand.html [12.15.2023]

46. Worldometers. (2023). Thailand Coronavirus cases.

https://www.worldometers.info/coronavirus/country/thailand/ [12.28.2023]

47. Worldometers. (2023). Thailand Natural Gas

https://www.worldometers.info/gas/thailand-natural-gas/ [12.18.2023]

48. Worldometers. (2023). Thailand Population.

https://www.worldometers.info/world-population/thailand-population/ [12.20.2023]

49. არველაძე, ნ. (2007). აზიის ეკონომიკის კატასტროფა 10 წლის თვალსაწიერიდან. Geoeconomics.

https://geoeconomics.ge/?p=2931 [12.23.2023]